უცხოური ენები - საგნობრივი ტესტის წერილის შეფასების სქემა (დავალება 7)

მაქსიმალური ქულა – 6. მოთხოვნილი დონე B2

ქულა	აღწერა
6	ნაწერი **ძალიან კარგია**. ამომწურავად პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა; სრულად არის დაცული წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი**. შეცდომები არ არის, ან მინიმალურია. არგუმენტირება ძალიან კარგია.
5	ნაწერი **კარგია.** პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია კარგი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; ძირითადად დაცულია წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი.** შეცდომები უმნიშვნელოა. არგუმენტირება კარგია.
4	ნაწერი **საშუალო დონისაა**. ძირითადად პასუხობს დავალების მოთხოვნებს, გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი** თანმიმდევრული არ არის; შეცდომები ცოტაა. ან: <u>გაცემულია პასუხი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე.</u>
3	ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა.** დავალების მოთხოვნებს ზოგ შემთხვევაში არ პასუხობს (მოცემულია არასრული და/ან ზედმეტი ინფორმაცია). გამოყენებულია მარტივი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, ზოგ შემთხვევაში, არ არის დაცული; შეცდომები თვალშისაცემია. ან: ხშირია ზოგადი ფრაზები. არგუმენტირება სუსტია.
2	ნაწერი **სუსტია**. დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს (მოცემულია ძალიან მწირი და/ან ბევრი ზედმეტი ინფორმაცია). გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია; ლოგიკურ-სტრუქტურული მაკავშირებლები არ არის. წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, უმეტესწილად, არ არის დაცული; შეცდომები ხშირია, მათ შორის <u>არის შეცდომები სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში.</u> ან: ენობრივად კარგია, მაგრამ დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი, დაზეპირებული ტექსტი, კონკრეტიკის გარეშე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია ფრაგმეტულად.
1	ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. შეცდომებს, მათ შორის <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ ლექსიკურ და გრამატიკულ შეცდომებს, სისტემური ხასიათი აქვს</u>. არ არის დაცული ოფიციალური სტილი. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი და/ან დაზეპირებული, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ტექსტი შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, ან საერთოდ არ არის ნახსენები.
0	ნაწერი არ პასუხობს დავალებას ან ფურცელი ცარიელია ან აზრის გაგება შეუძლებელია.

- **იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატი დავალების სამივე მოთხოვნას პასუხობს, ნაშრომი ფასდება სრული სქემით (6 - 0 ქულა).**
- **იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატი მხოლოდ 2 მოთხოვნას პასუხობს, შეფასება იწყება 5 ბენდიდან (შეფასება შეიძლება იყოს 5, 4, 3, 2, 1 ან 0 ქულა, მაგრამ არა 6).**
- **იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატი მხოლოდ ერთ შეკითხვას პასუხობს, შეფასება იწყება 4 ბენდიდან (შეფასება შეიძლება იყოს 4, 3, 2, 1 ან 0 ქულა, მაგრამ არა 5 ან 6).**